**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის**
**უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის**

**ო ქ მ ი № 1**

**21 აპრილი 2016 წელი** **ქ. ბათუმი**

**სხდომას თავმჯდომარეობდა** უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.

**სხდომას ესწრებოდნენ:** გუგული დუაძე, თამარ ხოზრევანიძე, ზურაბ გოლიაძე, რამაზ გოლომანიძე და თორნიკე მჟავანაძე.

**მოისმინეს:** სხდომის თავმჯდომარემ, არჩილ მიქელაძემ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

**დღის წესრიგის პროექტი:**

1. დადგენილება - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №4 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ;

2. ინფორმაცია - უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგში ცვლილების შეტანის თაობაზე;

3. სხვადასხვა.

**აზრი გამოთქვეს:** კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, არჩილ მიქელაძემ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე 6;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

**დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:**

1. დადგენილება - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №4 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ;

2. ინფორმაცია - უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგში ცვლილების შეტანის თაობაზე;

3. სხვადასხვა.

**1. დადგენილება** - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №4 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ.

**მოისმინეს:** სხდომის თავმჯდომარემ, არჩილ მიქელაძემ, კომისიის წევრებს გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №4 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ დადგენილები პროექტი.

**აზრი გამოთქვეს:** ზურაბ გოლიაძემ, სულხან ჩოგაძემ, თორნიკე მჟავანაძემ და არჩილ მიქელაძემ.

ზურაბ გოლიაძემ აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის თანახმად, მხარდამჭერთა სიებს ამოწმებს უსკო, შესაბამისად, ამ ფუნქციის საერთო სამსახურისათვის დაკისრებით ხსენებულ სამსახურს დამატებით ხომ არ ვაკისრებთ კომისიის ფუნქციას. ზურაბ გოლიაძე ასევე დაინტერესდა უსკოს სხდომის ოქმის შედგენა, პარტიული სიებისა და სააღრიცხვო ბარათების შემოწმების ფუნქციის საერთო სამსახურზე დაკისრებით უსკოს აპარატი ხომ არ შედის კომისიისა და მდივნის ფუნქციებში.

საერთო სამსახურის უფროსმა, სულხან ჩოგაძემ, აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილებები და დამატებები არის

მხოლოდ ტექნიკური საკითხები, ცვლილების თანახმად, ზუსტდება და ასევე ემატება ზოგიერთი ფუნქცია უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის საერთო სამსახურს. სულხან ჩოგაძემ ასევე განმარტა, რომ უსკოს სხდომის ოქმს რეგლამენტის თანახმად, ამზადებს საერთო სამსახური და ეს მდივნისა და კომისიის ფუნქციას არ წარმოადგენს. ასევე აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის თანახმად, პარტიულ სიებს და კანდიდატთა სააღრიცხვო ბარათებს ამოწმებს უსკოს სათანადო სამსახური, შესაბამისად, წარმოდგენილი ცვლილებებით და დამატებებით დაზუსტდა უსკოს აპარატის ის სამსახური, რომელიც შეამოწმებს პარტიულ სიებს და კანდიდატთა სააღრიცხვო ბარათებს.

თორნიკე მჟავანაძემ აღნიშნა, რომ არ არის გაცნობილი დღის წესრიგით წარმოდგენილ მასალებს და საკითხის დამატებით შესწავლის მიზნით მოითხოვა დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის - („აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №4 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ) უსკოს შემდგომ სხდომაზე გადადება და მისი კენჭისყრაზე დაყენება.

სხდომის თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ უსკოს რეგლამენტის თანახმად, კომისიის სხდომის წინა დღის არა უგვიანეს 12 საათისა, კომისიის სხდომაზე განსახილველი, საკითხები გადაეცემა საერთო სამსახურს. მან აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტი მზად იყო სხდომამდე ერთი დღით ადრე  და კომისიის ნებისმიერ წევრს შეეძლო მისი მოთხოვნა და გაცნობა.

სხდომის თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა კომისიის წევრის თორნიკე მჟავანაძის წინადადება დღის წესრიგით წარმოდგენილი პირველი საკითხის - („აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №4 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ) შემდგომი სხდომისათვის გადადების შესახებ.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე 2;
წინააღმდეგი 4;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

***კენჭისყრის შედეგად დადგენილების პროექტის შემდგომი სხდომისათვის გადადების შესახებ, არ იქნა მიღებული.***

არჩილ მიქელაძემ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №4 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე 4;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

***უმაღლესი საარჩევნო კომისიის ორმა წევრმა კენჭისყრაში მონაწილეობისგან თავი შეიკავა.***

**მიღებულია დადგენილება:**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

**მუხლი 1.** „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №4 დადგენილებით (გაზეთი „აჭარა“ 23.05.2006 წ. №91) დამტკიცებულ რეგლამენტში შეტანილი იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები და დამატებები:

1. მე-10 მუხლის „ა“ პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ა[1] პუნქტი:

„ა[1]) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ამზადებს პასუხებს კომისიაში შემოსულ წერილებსა და განცხადებებზე;“.

2. მე-10 მუხლის „გ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ადგენს უსკოს, უსკოს სამუშაო ჯგუფის და უსკოს აპარატის სამუშაო (თათბირების) შეხვედრების სხდომის ოქმებს;“.

3. მე-10 მუხლის „ვ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) ამოწმებს პარტიულ სიებს, კანდიდატთა სააღრიცხვო ბარათებს და საარჩევნო სუბიექტის მხარდამჭერთა სიებს;“.

4. მე-10 მუხლის „ზ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) უზრუნველყოფს საორგანიზაციო სამსახურისაგან გადმოცემული ქვემდგომი საარჩევნო კომისიებისაგან მიღებული შემაჯამებელი ოქმების და სხვა დოკუმენტაციის სათანადო წესით შენახვას/დაარქივებას;“.

5. მე-10 მუხლის „ო“ პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ო[1] პუნქტი:

„ო[1]) უსკოს აპარატის სამსახურებისაგან მიღებული პროექტების საფუძველზე ადგენს სხდომის დღის წესრიგის პროექტს და წარუდგენს უსკოს მდივანს;“.

**მუხლი 2.** ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 3.** ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**2. ინფორმაცია** - უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგში ცვლილების შეტანის თაობაზე;

**მოისმინეს:** სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მ/წლის 14 აპრილს კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, გუგული დუაძემ

და კომისიის მდივანმა, თამარ ხოზრევანიძემ, განცხადებით მომართეს უმაღლეს საარჩევნო კომისიას და მოითხოვეს საშტატო ერთეულის გაზრდა. კერძოდ: განცხადებით მოითხოვეს კომისიის თავმჯდომარის მოადგილის და კომისიის მდივნის თანაშემწეების შტატების დამატება.

**აზრი გამოთქვეს:**

გუგული დუაძემ, თამარ ხოზრევანიძემ და არჩილ მიქელაძემ.

გუგული დუაძემ აღნიშნა, რომ მოახლოებულ უმაღლესი საბჭოს 2016 წლის არჩევნების ჩატარების ორგანიზაციული, სამართლებრივი და ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით, ასევე არასაარჩევნო პერიოდში ტექნიკური საკითხების მოგვარებისათვის სჭირდება თანაშემწე.

თამარ ხოზრევანიძე დაეთანხმა გუგული დუაძის მოსაზრებას და აღნიშნა, რომ როგორც არასაარჩევნო ისე არჩევნების პერიოდში ტექნიკური საკითხების მოგვარების მიზნით სჭირდება თანაშემწე.

არჩილ მიქელაძემ აღნიშნა, რომ კანონის თანახმად, უსკოს აქვს უფლებამოსილება დაამატოს შტატი, თუმცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016 წლის რეპუბლიკური ბიუჯეტით უსკოზე დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში შრომის ანაზღაურების ფონდში დამატებითი თანხები უსკოს არ გააჩნია. სხდომის თავმჯდომარემ, კომისიას შესთავაზა მოსაზრება ვიდრე მოხდება შტატების დამატება დაზუსტებული იქნას დაფინანსების შესაძლებლობა, რისთვისაც, მიმართული იქნას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსათვის  დაფინანსების მიღების მიზნით. ასევე აღნიშნა, რომ 2016 წლის განმავლობაში ბიუჯეტში შესაძლო ცვლილებების არ ან ვერ განხორციელების შემთხვევაში უსკოს შეუძლია დაფინანსების საკითხი გაითვალისწინოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2017 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტში.

კომისიის წევრები დაეთანხმნენ არჩილ მიქელაძის მოსაზრებას დაფინანსების შესაძლებლობის დაზუსტების შესახებ.

| | |
|---|---|
| | სხდომის თავმჯდომარემ, არჩილ მიქელაძემ, ეკონომიკური სამსახურის უფროს ლევან სამნიძეს, დაავალა დაფინანსების შესაძლებლობის დაზუსტების მიზნით წერილის მომზადება და შესაბამის უწყებისადმი დაგზავნა. |

**მიღებულია ინფორმაციად.**

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.
სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

| | |
|---|---|
| **კომისიის თავმჯდომარე** | **არჩილ მიქელაძე** |
| **კომისიის მდივანი** | **თამარა ხოზრევანიძე** |